ააიპ „ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკა“

კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების შესყიდვა

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის 102 მუხლის მე-2 პუნქტისა და 24-ე მუხლის მე-10 პუნქტის და ,,კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობეზე” სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2011 წლის 10 თებერვლის #3 ბრძანების საფუძველზე.

ქ. ქუთაისი 2011 წელი

საკონკურსოგანცხადება

ააიპ „ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკა“აცხადებს კონკურსს საპროექტო მომსახურების შესყიდვაზე

1. შესყიდვის ობიექტი: ქ. ქუთაისში ნინოშვილის ქუჩა #2ა-ში მდებარე საბავშვო ლიტერატურის განყოფილების შენობის შეკეთებისათვის საჭირო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

2. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაა 350 (სამასორმოცდაათი) ლარი.

3. დაფინანსების წყარო: ააიპ „ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკის“ ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრები.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი დღის ვადაში).

5. კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს პირს, რომელმაც კანონმდებლობით დადგენილი წესით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოსკანონის 19₁ მუხლის პირველიპუნქტის საფუძველზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge), გადაიხადა კონკურსში მონაწილეობის საფასური 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით და წარმოადგენს საკონკურსოწინადადებას.

საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი დაგადახდის თარიღი;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად

განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

6. კონკურსის ჩატარების პირობები:

კონკურსანტი ვალდებულია შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგინოს:

6.1 კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

6.2სავალდებულო წარმოსადგენი მასალები და ინფორმაცია:

6.2.1 კონკურსანტის რეკვიზიტები;

6.2.2 ინფორმაცია კონკურსანტის პროფესიული გამოცდილების შესახებ (მსგავსი სახის პროექტებში მონაწილეობა, თანაავტორობა და ა.შ.) შესაბამისი პროექტების ჩამონათვალითა და მასში საკუთარი სტატუსის მითითებით.

6.2.3 საკონკურსო წინადადება და საკონკურსო წინადადების ფასი;

6.2.4 აფიდავიტი შევსებული და დადასტურებული კონკურსანტის მიერ (იხ. დანართი #3).

6.4 სამუშაოების შესრულება შესაძლებელია მოხდეს სუბკონტრაქტორთა მონაწილეობით.

6.5 საკონკურსო წინადადებების წარმოდგენის ვადა: 2011 წლის 21ოქტომბერი 11:00 სთ-დან 16:50 სთ-მდე.

7. კონკურსი ჩატარდება 2011 წლის 21 ოქტომბერს 17:00 საათზე;

წარმოსადგენი საკონკურსო წინადადება, სავალდებულო მასალები და ინფორმაცია შედგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და წარმოდგენილი კონკურსში მონაწილეობის საფასურის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად, ერთ დახურულკ ონვერტში ორ ეგზემპლარად (ერთი დედანის და ერთი - ქსეროასლის სახით). დაგვიანებით შემოსული საკონკურსო დოკუმენტაცია არ განიხილება და დაუბრუნდება წარმომდგენ პირებს.

8. საკონკურსო წინადადების შეფასებისა და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა ქვემოთ მოცემული კრიტერიუმების მიხედვით:

- საკონკურსო წინადადებების ფასი: კოეფიციენტი - 0,5;

- ანალოგიური მომსახურების გამოცდილება: კოეფიციენტი - 0,3;

- შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა: კოეფიციენტი - 0,2;

შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით, კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

8.1 შემსყიდველი ორგანიზაცია საკონკურსო წინადადებების შეფასებასა და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენას ახდენს საკონკურსო კომისიის მეშვეობით ერთ ეტაპად.

9. კონკურსანტის დისკვალიფიკაცია ხდება შემდეგ შემთხვევებში:

9.1 თუ ის არ დააზუსტებს ტექნიკურ დოკუმენტაციას შემსყიდველის მიერ დადგენილ ვადაში;

9.2 თუ ის უარს აცხადებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე;

9.3 თუ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით, ჩაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას.

10. კონკურსის შეწყვეტა:

10.1 საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე;

10.2 შესყიდვის პროცედურების შეწყვეტის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არარის, კონკურსანტებს წარუდგინოს კონკრეტული მტკიცებულება ან დეტალური ინფორმაცია, რომლის საფუძველზედაც მიიღო ეს გადაწყვეტილება. შესყიდვის პროცედურების შეჩერებისას ან შეწყვეტისა სშემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, აანაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

11. ხელშეკრულების დადება:

გამარჯვებულის გამოვლენიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაოდღის ვადაში გამარჯვეულ

კონკურსანტთან, დაიდება ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ (იხ. დანართი #4).

12. ანგარიშსწორების პირობები:

12.1 საკონკურსო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით (დღგ-ს ჩათვლით).

12.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარისწორებით ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

12.3 ანგარიშსწორება მოხდება მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

12.4 საავანსო ანგარიშ სწორება არ გამოიყენება.

14. დამატებითი ინფორმაცია:

საკონკურსო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღებაკონკურსანტს შეუძლია საკონკურსო კომისიაში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში: ქ. ქუთაისი, ლილი ნუცუბიძის 1. საკონტაქტოპირები:

ილია კაჭარავა: +995431 253033;

რუსუდან კოკელაძე: +995593 369622.

ტექნიკური დოკუმენტაცია

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს:

1. ქ. ქუთაისში ნინოშვილის ქუჩა #2ა-ში მდებარე საბავშვო ლიტერატურის განყოფილების შენობის შეკეთებისათვის საჭირო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

საკონკურსო წინადადების ფასში სრულად უნდა იყოს მოცემული კონკურსით გათვალისწინებული საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, საავტორო ზედამხედველობა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადები. საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დამზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და სტანდარტებით.

იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩნდება საპროექტო–სახარჯთარღიცხვო დოკუმენტაციით გათვალისწინებული დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ დამატებით საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენას მიმწოდებელი განახორციელებს ანაზღაურების გარეშე.

პროექტირების პერიოდში საპროექტო დავალებით გაუთვალისწინებელი სამუშაოების დაპროექტების საკითხი ზეპირი სახით შეთანხმდება შემსყიდველთან.

ხელშეკრულებისპროექტი

ქ. ქუთაისი ——— 2011 წელი

ერთის მხრივ, ააიპ „ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკა“, (შემდგომში `შემსყიდველი“) მისი დირექტორის ნარგიზ ჩოგოვაძე სახით. (მისამართი: 4600, ქ.ქუთაისი, ლილი ნუცუბიძის3). მეორეს მხრივ, ————————, (შემდგომში „მიმწოდებელი“) მისი დირექტორის ——————————— სახით, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომ _ “ხელშეკრულება”) _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 “ხელშეკრულების ღირებულება” ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 “შემსყიდველი ორგანიზაცია” (შემდგომ “შემსყიდველი”) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 “მიმწოდებელი” ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება კონკურსში და ახორციელებს მომსახურებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 “დღე”, “კვირა”, “თვე” ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს;

1.6 ,,მომსახურება" – ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

1.7 ,,ტექნიკური დოკუმენტაცია" – მიმწოდებლის მიერ (საკონკურსო განაცხადი №40 საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც ერთვის ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ქ. ქუთაისში ნინოშვილის ქუჩა #2ა-ში მდებარე საბავშვო ლიტერატურის განყოფილების შენობის შეკეთებისათვის საჭირო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების აღწერა მოცემულია ტექნიკურ დოკუმენტაციაში.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 შესასრულებელი მომსახურების ჯამური ღირებულება შეადგენს _____ ლარს;

3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლი განახორციელდება ააიპ „ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკის“ დირექტორის ნარგიზ ჩოგოვაძის მიერ;

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი, კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი;

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად

გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;

5. მომსახურების გაწევის პირობები

5.1 მომსახურების გაწევა განხორციელდება მიმწოდებლის საკონკურსო წინადადებაში ასახული პირობების შესაბამისად;

5.2 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს მომსახურების პირობებში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 „შემსყიდველი” შესყიდვის ობიექტის მიღებას მოახდენს ხელშეკრულების დადებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში;

6.2 მიმწოდებლის მიერ შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ გაწეული მომსახურების მიღება–ჩაბარების აქტის ფაქტიური დადასტურების შემდეგ;

6.3 ფაქტიურად შესყიდვის ობიექტის დამტკიცებას თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერიის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის დადასტურების საფუძველზე ახორციელებს თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერი.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშწორება განხორციელდება მიმწოდებლის წერილობითი მომართვის საფუძველზე;

7.2 მიმწოდებლის წერილობით მომართვას ანგარიშწორების თაობაზე უნდა დაერთოს:

ა) ფაქტიურად გაწეული მომსახურების მოცულობა და ღირებულება,

ბ) მიმწოდებლის დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის შემთხვევაში გაწეული მომსახურების შესაბამისად ამოწერილი ანგარიშფაქტურა;

7.3 გაწეული მომსახურების ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში;

7.4 ანგარიშწორება განხორციელდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 10 სექტემბრის №1046 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ვალდებულების აღებისა და ხარჯების გაწევის წესის შესახებ“ ინტრუქციის შესაბამისად;

7.5 ანგარიშწორება განხორციელდება გაწეული მომსახურების დადასტურებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

8. ფასები

8.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებაში მითითებული ფასი არ უნდა აღემატებოდეს მიმწოდებლის მიერ საკონკურსო წინადადებაში მითითებულ ფასს;

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.2 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანოზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით დადგენილიშემთხვევებისა.

9.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. მხარეთა უფლება–მოვალეობები

10.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:

–გასაწევი მომსახურების დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს მიმწოდებლისგან მისთვის საჭირო ინფორმაცია;

10.2 შემსყიდველი ვალდებულია:

– უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით;

10.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

10.3.1 მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

10.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

10.4.1 დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები,

10.4.2 განახორციელოს დამუშავებული ტექნიკური დოკუმენტაციის საავტორო ზედამხედველობა.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 დაუძლეველი ძალის გარდა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:

– ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელი გადაიხდის 200 (ორასი) ლარს;

11.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი მომსახურების ჯამური ღირებულების 0.1%–ს;

11.3 იმ შემთხვევაში თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების

ღირებულების 3%–ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება;

11.4 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, მიმწოდებლის დაჯარიმების შემთხვევეაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ფაქტიურად გაწეული მომსახურების ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან

ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში;

11.5 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისადმი.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ;

12.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება დაუყონებლივ უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან;

12.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

13. დაუძლეველი ძალა

13.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებლის შეუძლებლობის შესახებ;

13.2 თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

13.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ;

14.2 თუ ,,შემსყიდველი" და ,,მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

15. გამოყენებული სამართალი

15.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

16. გადასახადები და დაბეგვრა

16.1 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1 წინამდებარე ხელშეკრულება მოქმედებს და განისაზღვრება ხელშეკრულების დადებიდან 10 (ათი) კალენდარული დღით.

17.2 ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი მიმწოდებელთან და 1 (ერთი) პირი შემსყიდველთან.

18. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:

ააიპ ქალაქ ქუთაისის ილია

ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო

ბიბლიოთეკა

მის: ქ. ქუთაისი, ლილი ნუცუბიძის 3

ბანკი სს ვითიბი ბანკი ჯორჯია

ბ/კოდი: 220101605

ა/ა GE23VT0500000063903602

ს/ნ: 212899443

დირექტორი

ნარგიზ ჩოგოვაძე